

35087h



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2288 2017 წლის 3 ნოემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის №1393 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის №1393 განკარგულებაში და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს, როგორც საპატიო სტუმარი ქვეყნის წარდგენასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
ტელ.: 2 98 74 30



070194300027517

დოკუმენტის N 17007
07. 11. 2017
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

გამოუყოს 405 657 (ოთხას ხუთი ათას ექვსას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარი და 28 118 (ოცდარვა ათას ას თვრამეტი) ევროს ეკვივალენტი ლარი.

2. ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოუყოს 24 563 (ოცდაოთხი ათას ხუთას სამოცდასამი) ლარი.“.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი

